

# 2007 წელი

14 დეკემბერი, 2007 წელი

## სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები სასწავლო კურსს გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 33 ლექტორი, ტრენერთა სახელმძღვანელოს მიხედვით, ორდღიან მომზადებას გაივლის.

ლონისძიებას რომელიც 15-16 და 22-23 დეკემბერს სასწავლო ცენტრის ბაზაზე (მის: რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კმ.) გაიმართება, სახელმძღვანელოს ავტორი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე წარუძღვება. იგი მონაწილეებს გააცნობს საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებულ სწავლების მეთოდებს, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ლონისძიება ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

11 დეკემბერი, 2007 წელი

## სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობა გაიხსნა



საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა დღეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობა გახსნა, რომელიც რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრზე მდებარეობს.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

„სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთათვის სპეციალური სასწავლო დაწესებულების შექმნის პროცესი საწყისი ეტაპი კარგად მახსოვს.

პენიტენციური და პრობაციის სფეროს რეფორმის დაგეგმვის პროცესში, 2005 წელს, ცხადი

გახდა, რომ წარმატების მისაწევად აუცილებელი იყო ამ სფეროს თანამშრომელთათვის სასწავლო დაწესებულების შექმნა. ცენტრმა 2005 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა, დღეიდან კი აქ ყველა პირობა შექმნილი მისი კიდევ უფრო წარმატებული მუშაობისათვის“, - აღნიშნა ეკა ტყეშელაშვილმა.

იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა დონორ ორგანიზაციებს: შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას, რომელთაც ცენტრს ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვაში დახმარება გაუწიეს. საქართველოს შვედეთის ელჩმა ჰანს გუნერ ადენმა შენობის გახსნისას აღნიშნა: „მთარალები ვართ, რომ შვედეთის მხარეს მიეცა საშუალება, დახმარებოდა ცენტრს როგორც ცოდნითა და გამოცდილებით, ისე ფინანსურად“. საქართველოს გარდა, პოსტსაბჭოურ სივრცეში მსგავსი სპეციალიზებული სასწავლო ცენტრი არსებობს მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ლიტვისა და ესტონეთის სასწავლო დაწესებულებებთან ქართველმა კოლეგებმა ორწლიანი საქმიანობის შედეგად მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა დაამყარეს, ისევე, როგორც შვედეთის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და პოლონეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 2005 წლის 8 ნოემბერს დაფუძნდა. ამ დროიდან სასწავლო ცენტრის მიერ მომზადდა სასჯელადსრულების სისტემაში დასაქმებული 2498 და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის 108 თანამშრომელი. სასწავლო ცენტრში მოსამსახურეთა მომზადება წარმოებს საბაზისო და სხვადასხვა სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების მიხედვით.

2006 წელს სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის იუსტიციის სამინისტროს გადაეცა სამსართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი მე-17 კილომეტრი. 2007 წლის ბიუჯეტით გამოიყო 800 000 ლარზე მეტი თანხა სასწავლო ცენტრის სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად. სასწავლო ცენტრი ტექნიკითა და ავეჯით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით აღიჭურვა.

სასწავლო ცენტრის ბაზაზე მოეწყო საცხოვრებელი კომპლექსი რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსული სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისთვის (26 ადგილი), სპორტული დარბაზები (აღჭურვილი სპორტული ტრენაჟორებით და მაგიდის ჩოგბურთით), სამზარეულო, დასასვენებელი ოთახი აღჭურვილი ბილიარდით, სასწავლო საკლასო ოთახები (7 აუდიტორია), იმიტირებული საკანი (პრაქტიკული მეცადინეობებისთვის), კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი. სასწავლო ცენტრის ბაზაზე ერთდროულად სწავლება შესაძლებელია ჩაუტარდეს 200-ზე მეტ ადამიანს.



3 დეკემბერი, 2007 წელი

## სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები ევროპულ გამოცდილებას გაეცნობიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 21 ლექტორისაგან დაკომპლექტებული სამი ჯგუფი დღეს შვედეთში, ლიტვასა და ესტონეთში გაემგზავრა.

ვიზიტი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში მიმდინარეობს.

ქართველი ლექტორები ადგილზე გაეცნობიან შვედეთში, ლიტვასა და ესტონეთში მოქმედი ანალოგიური სასწავლო ცენტრების სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდებს, დაესწრებიან სხვადასხვა პრაქტიკულ მეცადინეობას, დაათვალიერებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

**2 დეკემბერი, 2007 წელი**

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა კიდევ ერთი სახელმძღვანელო გამოსცა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით კიდევ ერთი ნაშრომი: „პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ მართვის სისტემის თანამშრომელთა სახელმძღვანელო“ გამოიცა. წიგნის ავტორია სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის სასწავლო ნაწილის უფროსი ნატო გუგავა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: პენიტენციური სისტემის პერსონალის შერჩევა, მართვა, გადამზადება, უსაფრთხოების სისტემის მექანიზმების ფუნქციონირება, პატიმართა მიმართ სამართლიანი დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრა და ა.შ.

სახელმძღვანელოში, აგრეთვე, მოცემულია პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები.

გამოცემა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

**28 ნოემბერი, 2007 წელი**

**სასჯელაღსრულების დაწესებულებათა თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო გამოიცა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით, ცენტრის ლექტორმა გულივერ ხუხიამ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უსაფრთხოებისა და რეჟიმის თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო გამოსცა.

წიგნი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით დაიბეჭდა.

სახელმძღვანელოში მოცემულია ის მეთოდები და საკითხები, რომელიც პენიტენციური სისტემის მუშაკებს დაწესებულებებში მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთაში, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ პირთა დროულად გამოვლენაში დაეხმარება.

**26 ნოემბერი, 2007 წელი**

**გლდანის ახალი საპრობაციო მომავალი თანამშრომლების სწავლება დასრულდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასანიშნ კანდიდატთა მეორე ეტაპის მომზადება დაასრულა.

კონკურსის წესით შერჩეულ 48 მონაწილეს რეჟიმი-უსაფრთხოების სპეციალიზებული პროგრამა თბილისის 98-ე საჯარო სკოლის ბაზაზე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორებმა გააცნეს. სასწავლო პროცესის ბოლოს ჩატარდა ტესტირება, რომელიც ყველა მონაწილემ წარმატებით გაიარა. შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები მათ სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გადასცა. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

**21 ნოემბერი, 2007 წელი**

**გლდანის ახალი საპრობაციო მომავალი თანამშრომლების სწავლება დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასანიშნ კანდიდატთა მომზადების მეორე ეტაპი თბილისის 98-ე საჯარო სკოლის შენობაში დაიწყო.

სამდლიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გახსნა. მისი ინფორმაციით, კონკურსის წესით შერჩეულ 90 კანდიდატს რეჟიმი-უსაფრთხოების სპეციალიზებულ პროგრამას გააცნობენ სასწავლო ცენტრის ლექტორები: მედიკო ალანია, ლერი ხუხია და ემზარ მარგებაძე. სწავლებაში მონაწილეებს ღონისძიების დასრულებისთანავე ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გადაეცემა შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ანალოგიური მომზადება უკვე გაიარა და სპეციალური სერტიფიკატი მიიღო საპრობაციოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად შერჩეულმა 93-მა თანამშრომელმა.

12 ნოემბერი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ახალი სასწავლო პროგრამები შეიმუშავა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დღეს გაიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განახლებული სასწავლო პროგრამების პრეზენტაცია, რომელიც იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ გახსნა. მინისტრის მოადგილემ დონორებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოში ეუთოს მისიის ხელშეწყობით იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დახვეწა როგორც საბაზისო, ისე სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები. მისი თქმით, უახლოეს მიმავალში, რუსთავის გზატკეცილზე გაიხსნება თანამედროვე სტანდარტების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობა, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ლლონტის ინფორმაციით, განახლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალურ მუშაკთა, რეჟიმისა და უსაფრთხოების დარგის თანამშრომელთა, ასევე პრობაციის ოფიცერთა სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა და გაიზარდა კურსის ხანგრძლივობა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ორი წლის წინათ დაარსდა. ცენტრში წლეულს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის 1000-ზე მეტი თანამშრომელი გადამზადდა.

6 ნოემბერი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლები ესტონეთის გამოცდილებას ეცნობიან**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები დღეს დაწყებულ სემინარზე სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გამოყენების პრაქტიკას ესტონეთის მაგალითზე ეცნობიან. ქართველი სპეციალისტები შექმნილ ცოდნას შემდგომში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს გაუზიარებენ.

ესტონელი ექსპერტი ლაურა კიკასი ქართველ კოლეგებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის კომპონენტის მნიშვნელობაზე ესაუბრება. ღონისძიება ევროკომისიის პროექტის „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმა“ ფარგლებში მიმდინარეობს.

ლაურა კიკასის განმარტებით, ესტონეთის ციხეში მოხვედრილი პატიმრის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა მუშავდება უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრის, სოციალური დარგის მუშაკის, ფსიქოლოგისა და სხვა სფეროს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისიის მიერ. პიროვნების შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, სოციალურ მდგომარეობას, განათლებასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. კონკრეტული პატიმრისათვის დამახასიათებელი რისკისა და საჭიროების ანალიზის შედეგადგან განისაზღვრება, სასჯელის მოხდის როგორი ინდივიდუალური გეგმა და რა ტიპის რეაბილიტაციის პროგრამაში ჩაბმა უნდა შესთავაზოს მას ადმინისტრაციამ. ქართველი ლექტორების სწავლება 7 ნოემბერს დასრულდება.

9 ოქტომბერი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში წლეულს 919 თანამშრომელი გადამზადდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა 2007 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემის 882 და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის 37 თანამშრომელი მოამზადა.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ლლონტის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებმა სწავლება სხვადასხვა პროგრამის მიხედვით გაიარეს. საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადდა - 589, მართვის სასწავლო პროგრამის მიხედვით - 69, რეჟიმისა და უსაფრთხოების სასწავლო პროგრამის მიხედვით - 224 მოსამსახურე. ამასთან, წლეულს სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების მიხედვით მოამზადებენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც გლდანის ახალ დაწესებულებაში არსებულ ვაკანსიებზე კონკურსის წესით შეირჩევიან.

17 სექტემბერი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს ევროპული სტანდარტების შესაბამისი ოფისი ექნება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობა, რომელიც რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრზე მდებარეობს, წლეულს ნოემბერში გაიხსნება.

შენობის რეკონსტრუქცია სამი თვის წინათ დაიწყო. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ოფისში მოეწყობა: სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია; შვიდი სასწავლო ოთახი; საკონფერენციო დარბაზი; ბიბლიოთეკა; სტამბა, სადაც სასწავლო ცენტრში შემუშავებული სახელმძღვანელოები დაიბეჭდება; იმიტირებული საკანი პრაქტიკული მეცადინეობისათვის;

კომპიუტერული კლასი; 26-ადგილიანი საცხოვრებელი კომპლექსი და სასადილო.

შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ახორციელებენ. სასწავლო ცენტრის შენობის ტექნიკურ აღჭურვაში იუსტიციის სამინისტროს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და გაეროს განვითარების ფონდი ეხმარება.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ლლონტის ინფორმაციით, ახალ შენობასთან ერთად, სასწავლო ცენტრს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის კადრების მოამზადებლად ახალი სასწავლო პროგრამებიც ექნება.

3 სექტემბერი, 2007 წელი

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მწვრთნელები ნორვეგიის გამოცდილებას გაიზიარებენ**  
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 5 მწვრთნელი ნორვეგიის ანალოგიური სასწავლო ცენტრის მიწვევითა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით, ნორვეგიაში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო ცენტრის, პრობაციის სამსახურისა და სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულების მონახულება. ქართველი სტუმრები დეტალურად გაეცნობიან ნორვეგიის სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს; დაესწრებიან სხვა და სხვა პრაქტიკულ მეცადინეობას.

27 აგვისტო, 2007 წელი

**პრობაციის ბიუროების უფროსების გადამზადება დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის რეგიონალური ბიუროების უფროსების გადამზადება დაიწყო. როგორც სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა განაცხადა, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბიუროს უფროსებისათვის „არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის გაცნობა. სწავლების დასრულების შემდეგ, ბიუროს ხელმძღვანელები კანონმდებლობაში შესული სიახლეების შესახებ თავად გააცნობენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს.

2007 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის ოფიცერთა სრული შემადგენლობა მოამზადა.

16 აგვისტო, 2007 წელი

**გეგუთის, ხონისა და ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო**

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის №8, ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებების მოქმედი პერსონალისა და ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ახლადდანიშნულ თანამშრომელთა საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით მომზადება დაიწყო.

სასწავლო პროცესში 9 ჯგუფად გადანაწილებული 258 თანამშრომელი მიიღებს მონაწილეობას. მათ სასწავლო პროცესის დასასრულს ტესტირება ჩატარდება და წარმატებულებს შესაბამისი სასწავლო პროგრამების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ. ღონისძიება, რომელიც 2007 წლის 12 სექტემბრამდე გასტანს, სასწავლო ცენტრის დირექტორმა, კობა ლლონტმა გახსნა და მონაწილეებს სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებულის განახლებული ვერსია გადასცა.

სასწავლო კურსი საქართველოში – ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

14 აგვისტო, 2007 წელი

**ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადება დასრულდა**

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მოქმედი პერსონალის მომზადება დაასრულა.

სასწავლო პროცესში მონაწილეობდა 9 ჯგუფად გადანაწილებული 186 თანამშრომელი, რომელთაც ღონისძიების დასასრულს ტესტირება ჩატარდა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ. სასწავლო კურსი საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

13 აგვისტო, 2007 წელი

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ახალი პროგრამები შემუშავდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით, შინდისში, სასტუმრო „სოფლის სახლში“ 25-კაციანი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაში, რომელიც სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა, მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრის თანამშრომლები, სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტი ეუთოს მისიიდან - მიროსლავ ნოვაკი.

შეხვედრაზე დაიხვეწა და განახლდა სასწავლო ცენტრში არსებული სასწავლო პროგრამები და შემუშავდა რამდენიმე ახალი პროგრამა.

შემდგომში სასწავლო ცენტრი მის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესებს ამ ახალ პროგრამებზე დაყრდნობით გააგრძელებს.

6 ივლისი, 2007 წელი

**რუსთავის №2 საპყრობილის თანამშრომელთა გადამზადება დასრულდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა „რეჟიმი/უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის“ მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების რეჟიმი/უსაფრთხოების ხაზით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება დასრულდა.

ლონისძიებაში 2 ჯგუფად გადანიჭილებული 46 თანამშრომელი მონაწილეობდა. სასწავლო პროცესის დასასრულს ყველა მონაწილემ წარმატებით გაიარა ტესტირება და შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

სასწავლო პროცესი საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

5 ივლისი, 2007 წელი

**სასჯელაღსრულების ქსნის №7 დაწესებულების პერსონალს გადამზადებენ**

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დღეიდან საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მოქმედი პერსონალის გადამზადება დაიწყო.

სასწავლო კურსი საქართველოში - ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით ტარდება. მასში 9 ჯგუფად გადანიჭილებული 198 თანამშრომელი მონაწილეობს. სწავლების დასრულებისთანავე მათ ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გადაეცემათ შესაბამისი სასწავლო პროგრამის ავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ლონისძიება, რომელიც 2 აგვისტომდე გასტანს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გახსნა.

4 ივლისი, 2007 წელი

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა კიდევ ერთი სახელმძღვანელო გამოსცა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით კიდევ ერთი სახელმძღვანელო: „განათლება სკანდინავიის ციხეებში – მუდმივი სწავლის პერსპექტივა“ გამოიცა. სასჯელაღსრულების და პრობაციის სისტემის თანამშრომელთათვის განკუთვნილი კრებული ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის (NORLAG) მხარდაჭერით შეიქმნა.

სახელმძღვანელოში აღწერილია სკანდინავიის ქვეყნების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში განათლების სისტემის თავისებურებები. კრებულში განხილულია ფინეთის, ნორვეგიის, შვედეთისა და ისლანდიის პენიტენციარული დაწესებულებების პრაქტიკა, საკანონმდებლო ბაზა და მოცემულია საინტერესო რეკომენდაციები. წიგნი 300-იანი ტირაჟით გამოიცა.

29 ივნისი, 2007 წელი

**რუსთავის №1 დაწესებულების თანამშრომელთა მომზადება დასრულდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა „რეჟიმი/უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის“ მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვის ხაზით მომუშავე თანამშრომელთა მომზადება დასრულდა.

ლონისძიება საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სასწავლო პროცესში 3 ჯგუფად გადანიჭილებული 59 თანამშრომელი მონაწილეობდა. სწავლების დასრულებისთანავე ჩატარდა ტესტირება, რომელიც ყველა მონაწილემ წარმატებით გაიარა.

27 ივნისი, 2007 წელი

**რუსთავის №2 საპყრობილის თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა რეჟიმისა და უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვის ხაზით მომუშავე თანამშრომელთა მომზადება დაიწყო.

სასწავლო ცენტრმა ამავე პროგრამით რამდენიმე კვირის წინათ რუსთავის №6 საპყრობილის თანამშრომლები გადამზადა. ღონისძიება, რომელიც საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გახსნა.

სასწავლო პროცესი 5 ივლისამდე გასტანს და მასში 2 ჯგუფად გადანიჭილებული 47 თანამშრომელი მიიღებს მონაწილეობას. სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე მათ ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

18 ივნისი, 2007 წელი

### **რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების თანამშრომელთა სწავლება დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში „რეჟიმისა და უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის“ მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა მომზადება დაიწყო. სასწავლო პროცესი საქართველოში უეთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

სწავლებაში 3 ჯგუფად გადანაწილებული 60 თანამშრომელი მონაწილეობს. პროგრამის დასრულებისთანავე ჩატარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.

სასწავლო ღონისძიება, რომელიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა, 26 ივნისამდე გაგრძელდება.

15 ივნისი, 2007 წელი

### **რუსთავის №6 საპყრობილის თანამშრომლებს სერტიფიკატები გადასცეს**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების სფეროს თანამშრომელთა მომზადება დაასრულა.

სპეციალიზირებული სწავლების დასრულების შემდეგ 65 თანამშრომელს ჩაუტარდა ტესტირება, რომელსაც ყველა მონაწილემ წარმატებით გაართვა თავი. მათ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

11 ივნისი, 2007 წელი

### **იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ლიტვაში გაემგზავრნენ**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი და ამავე ცენტრის 5 ლექტორი დღეს ლიტვის რესპუბლიკას ეწვივნენ. ვიზიტი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში ხორციელდება.

ვიზიტისას დაგეგმილია შეხვედრები ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მდივანთან სასჯელაღსრულების დარგში, ციხის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორთან და პრობაციის სისტემის ხელმძღვანელებთან. ამასთან, დელეგაციის წევრები გაეცნობიან ადგილობრივ სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდებს, დაესწრებიან სხვადასხვა პრაქტიკულ მეცადინეობას და დაათვალიერებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

8 ივნისი, 2007 წელი

### **რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებს სერტიფიკატები გადასცეს**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომელთა საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით მომზადება დაასრულა.

ღონისძიება საქართველოში უეთო-ს მისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სასწავლო პროცესში მონაწილე 98 თანამშრომელს სწავლების დასრულების შემდეგ ტესტირება ჩაუტარდა. მონაწილეთაგან ზღვრული ბარიერი ყველამ გადალახა. მათ სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა.

4 ივნისი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულების თანამშრომლებმა სერტიფიკატები მიიღეს**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა რეჟიმისა და უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაასრულა.

ღონისძიებაში 2 ჯგუფში გადანაწილებული 55 თანამშრომელი მონაწილეობდა.

სასწავლო პროცესის დასასრულს ჩატარებული ტესტირება ყველა მონაწილემ წარმატებით გაიარა. სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა დღეს მათ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა.

1 ივნისი, 2007 წელი

### **რუსთავის №6 საპყრობილის თანამშრომელთა ტრენინგი დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, „რეჟიმი-უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის“ მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპყრობილის რეჟიმისა და უსაფრთხოების ხაზით მომუშავე თანამშრომელთა მომზადება დაიწყო. სწავლება ევროკომისიის პროექტთან „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა“ თანამშრომლობით ტარდება.

ტრენინგს, ქართველ ლექტორებთან ერთად, 2 მოწვეული ესტონელი ექსპერტი უძღვება.

სასწავლო პროცესში ორ ჯგუფად გადანაწილებული 62 თანამშრომელი მონაწილეობს. მათ, სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე, ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გადაეცემათ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ტრენინგი 12 ივნისამდე გაგრძელდება.

**21 მაისი, 2007 წელი**

### **სასწავლო კურსი საპატიმროს თანამშრომელთათვის**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა რეჟიმისა და უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის მიხედვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 დაწესებულების შესაბამისი მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა მომზადება დაიწყო.

ლონისძიება, რომელიც 2 ივნისამდე გასტანს, დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა. სასწავლო პროცესში 2 ჯგუფად გადანაწილებული 53 თანამშრომელი მონაწილეობს. მათ სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გადაეცემათ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

**15 მაისი, 2007 წელი**

### **რუსთავის №1 დაწესებულების თანამშრომლების გადამზადება დაიწყო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო. საქართველოში ეუთო-ს მისიის ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილი სასწავლო პროცესი საბაზისო და მართვის სპეციალური პროგრამების მიხედვით წარმართება და 10 ივნისამდე გასტანს.

ტრენინგი დღეს რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა და სწავლებაში მონაწილე 95 თანამშრომელს სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული დაურიგა.

კობა ლლონტის ინფორმაციით, სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე ჩატარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცემათ.

**15 მაისი, 2007 წელი**

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დელეგაცია შვედეთის გამოცდილებას გაეცნო**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი არსოშვილი და ცენტრის 5 ლექტორი შვედეთში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტი „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში განხორციელდა.

საქართველოს დელეგაციის წევრები მასპინძელი ქვეყნის ანალოგიური სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს გაეცნობან. ვიზიტისას დაგეგმილია სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულების დათვალიერება და შვედმა კოლეგებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც დასახეს.

**7 მაისი, 2007 წელი**

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დელეგაცია შვედეთში გაემგზავრა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი და ცენტრის 6 თანამშრომელი დღეს ერთკვირიანი ვიზიტით შვედეთში გაემგზავრნენ.

დელეგაციის წევრები მასპინძელი ქვეყნის ანალოგიური სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს გაეცნობან. ვიზიტისას დაგეგმილია სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულების დათვალიერება პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობა. ვიზიტი „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში ხორციელდება.

**4 მაისი, 2007 წელი**

### **სასჯელაღსრულების რუსთავის №2 დაწესებულების თანამშრომლები გადამზადდეს**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებს საბაზისო სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

11 აპრილს დაწყებულ სასწავლო პროცესში 4 ჯგუფად გადანაწილებული 62 თანამშრომელი მონაწილეობდა. მათ სასწავლო პროცესის ბოლოს გამართული ტესტირება წარმატებით გაიარეს. რუსთავის №2 დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

24 აპრილი, 2007 წელი

### **ტესტები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საქართველოში ეუთოს მისიის (OSCE) ფინანსური მხარდაჭერით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის საგამოცდო ტესტების განახლებული ვერსია გამოიცა. ტესტები მოიცავს შემდეგ საკითხებს: პენიტენციარული სფეროს საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, „პატიმრობის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონები, სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლის ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმები. 700 ეგზემპლარად დაბეჭდილ კრებულში 450 ტესტია თავმოყრილი. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები სასწავლო ცენტრში დაგეგმილი ტრენინგის დასრულების შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდას ამ კრებულიდან შერჩეული 50 ტესტით ჩააბარებენ.

23 აპრილი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროს მასწავლებელთა ტრენინგი დასრულდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მასწავლებელთათვის გუდაურში ტრენინგი დასრულდა. სწავლება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში განხორციელდა. ტრენინგში სასწავლო ცენტრის 20 მასწავლებელი მონაწილეობდა. სემინარი სწავლების საერთაშორისო აპრობირებული მეთოდების გაცნობას და ამ კუთხით უცხოური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას მიემდგვნა. ღონისძიებას შვედი ექსპერტები და ლიტვისა და ესტონეთის ანალოგიური სასწავლო ცენტრების დირექტორები უძღვებოდნენ.

19 აპრილი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები კვალიფიკაციას იმაღლებენ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის შინდისში ორდღიანი სემინარი დაიწყო. სასწავლო პროგრამა ევროკავშირის პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა“ ფარგლებში მიმდინარეობს.

სემინარს უძღვებიან ჩეხი და ესტონელი ექსპერტები, რომლებიც ისაუბრებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უსაფრთხოების ეფექტური სისტემის პრინციპებზე, პატიმართა უფლებების საკითხებსა და მათი გათავისუფლებისათვის მოსამზადებელ პროგრამებზე. უცხოელი ექსპერტები ქართველ კოლეგებს ჩეხეთისა და ესტონეთის სასჯელაღსრულების სისტემების თავისებურებებს გააცნობენ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა აღნიშნა, რომ მსგავსი ხასიათის ღონისძიებები ხელს შეუწყობს პენიტენციარულ სფეროში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებას. ღონისძიებაში მონაწილეობს იუსტიციის სამინისტროს 30 თანამშრომელი, მათ შორის: სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორები და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერები.

17 აპრილი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა ტრენინგი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერთათვის 16 აპრილს გუდაურში, ოთხდღიანი ტრენინგი გაიხსნა. სწავლება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში ხორციელდება. ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნეს. მათ ხაზი გაუსვეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარებისათვის აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას. ტრენინგში სასწავლო ცენტრის 20 ტრენერი მონაწილეობს. ისინი ეცნობიან სწავლების საერთაშორისო აპრობირებულ მეთოდებს და ამ კუთხით უცხოური ქვეყნების გამოცდილებას. ღონისძიებას შვედი ექსპერტები და ლიტვისა და ესტონეთის ანალოგიური სასწავლო ცენტრების დირექტორები უძღვებიან.

6 აპრილი, 2007 წელი

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობის რეკონსტრუქციაზე ტენდერი გამოცხადდა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო და საკომუნიკაციო ქსელების მოწყობაზე ტენდერი გამოცხადდა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შენობა რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრზე მდებარეობს. სატენდერო განცხადებაში სამუშაოების შესრულების დასრულების ვადად დათქმულია 2007 წლის სექტემბერი. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები 2007 წლის 26 აპრილის 16:00 საათამდე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში უნდა წარადგინონ.

29 მარტი, 2007 წელი

### **პრობაციის დეპარტამენტის ახალდანიშნულ თანამშრომლებს ტრენინგი უტარდებათ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ფინანსური მხარდაჭერით დღეს დაიწყო არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის ახალდანიშნულ და სტაჟიორ თანამშრომელთა მომზადების პროცესი.



სწავლება 42-საათიანი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. სასწავლო პროგრამა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ გახსნა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ლლონტის ინფორმაციით, პრობაციის ახალი თანამშრომლები ტრენინგებზე გაეცნობიან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სფეროს მარეგულირებელ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას. სასწავლო პროცესი 18 აპრილამდე გასტანს, რის შემდეგაც შეძენილი ცოდნა ტესტირებით შემოწმდება. წარმატებულ მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემა.

**27 მარტი, 2007 წელი**

### **ქართველი პრობაციის ოფიცრები შვედი კოლეგების გამოცდილებას გაიზიარებენ**

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით დღეს შინდისში გაიხსნა სემინარი, სადაც არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლები გაეცნობიან ამ სფეროში არსებულ სიახლეებს და უცხოელ ექსპერტებთან ერთად იმსჯელებენ მათი საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების პერსპექტივაზე. ევროკომისიის პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის მხარდაჭერის“ ფარგლებში მოწყობილი ღონისძიების გახსნაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოში არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების დონეს. შვედეთის პრობაციის დეპარტამენტიდან მოწვეული ექსპერტები, ქართველ კოლეგებს გააცნობენ ინფორმაციას შვედეთის პრობაციის სამსახურის სპეციფიკის შესახებ. საუბარი შეეხება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პრინციპებს, პრობაციონერზე ინტენსიური ზედამხედველობის განხორციელებას ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით და ამ მეთოდოლოგიის აპრობირებას საქართველოში, რისკის შეფასების კრიტერიუმებსა და სხვა საინტერესო საკითხებს. ორდღიან ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს სასწავლო ცენტრის 6 ტრენერი და პრობაციის 35 ოფიცერი.

**1 მარტი, 2007 წელი**

### **რუსთავის მე-6 საპყრობილის თანამშრომლებს სერტიფიკატები გადაეცათ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა იაკობ ლლონტმა დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მე-6 საპყრობილის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური პროფილის თანამშრომლებს სპეციალიზირებულ სწავლებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრ „თანადგომის“ ორგანიზებით რუსთავის მე-6 საპყრობილის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური პროფილის თანამშრომელთა 10-კაციანი ჯგუფის გადამზადება 26 თებერვალს დაიწყო. ტრენინგის მონაწილეები სასწავლო პროგრამის ფარგლებში გაეცნენ: ვირუსული ჰეპატიტების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსის, პროფილაქტიკის საშუალებებს, აგრეთვე, ბიომედიცინის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

**26 თებერვალი, 2007 წელი**

### **რუსთავის მე-6 საპყრობილის თანამშრომლებს ტრენინგი უტარდებათ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრ „თანადგომის“ ორგანიზებით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მე-6 საპყრობილის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური პროფილის თანამშრომელთა 10-კაციანი ჯგუფის გადამზადება დაიწყო. ტრენინგი დღეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა. სასწავლო პროცესში ტრენინგის მონაწილეები გაეცნობიან: ვირუსული ჰეპატიტების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსის, პროფილაქტიკის საშუალებებს, აგრეთვე, ბიომედიცინის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

**12 თებერვალი, 2007 წელი**

### **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგები შვედ ექსპერტს შეხვდნენ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი იაკობ ლლონტი და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) პროექტის კოორდინატორი ჰერ ბიორგენი დღეს ცენტრის ტრენინგებს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა გასულ წელს გაწეული სამუშაოები შეაჯამეს და მომავალი წლის სამუშაო გეგმა დასახეს.

იაკობ ლლონტის განცხადებით, „SIDA“-ს დახმარებით 2006 წლის მარტიდან სასწავლო ცენტრში დაიწყო ორწლიანი პროექტი. ამასთან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გადამზადდა პენიტენციარული დაწესებულებების თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი და პრობაციის დეპარტამენტის სრული შემადგენლობა. ცენტრის ეგიდით გამოიცა 7 ნაშრომი და განხორციელდა ვიზიტები შვედეთში, ლიტვასა და ესტონეთის ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში.

ცენტრის დირექტორის ინფორმაციით, დღეს შვედ ექსპერტთან ერთად დაათვალიერა შენობა, სადაც ამა წლის სექტემბერში თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ცენტრი განთავსდება. აღნიშნულ ცენტრში ტრენინგები გადამზადდებიან პენიტენციარული სისტემის ყველა თანამშრომელს. გარდა ამისა, ცენტრში აქტიურად გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა. პერ ბიორგენის განცხადებით, იგი მოხარულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიღწევებით და იმედი აქვს, რომ იგი ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლო დაწესებულებად ჩამოყალიბდება.